განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები/Techniques and Technologies of Oil and Gas Extraction, Transportation and Storage**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი:** ინჟინერიის მაგისტრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში/Master of Engineering in Oil and Gas/Petroleum Technology **მეორე ნაწილი:** კვლევის მაგისტრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში/ Research Master's Degree in Oil and Gas/Petroleum Technology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	დავით ჩხაიძე, პროფესორი - davit.chkhaidze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**პირველი ნაწილი** - 60 ECTS **მეორე ნაწილი** - 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი:** ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი:** ✓ პროგრამის პირველი ნაწილი; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი ნაწილი:** ✓ მოამზადოს საინჟინრო განათლების მქონე, თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ✓ შეასწავლოს სტუდენტს ნავთობისა და გაზის მოპოვების (ნავთობისა და გაზის მოპოვება და სასაქონლო კონდენციამდე დაყვანა, ნავთობისა და გაზის საბადოების ექსპლუატაცია), ტანსპორტირებისა (ნ/გ ტრანსპორტირება) და შენახვის (ნ/გ შემადგენელი კომპონენტების ქიმიური გარდაქმნები, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიღება, შენახვა და გაშვება...) ინოვაციური მეთოდები. ✓ მოამზადოს ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების მაგისტრი ღრმა და სისტემური ცოდნით, კომუნიკაციის უნარებით, რომელიც ადვილად შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტირებას; საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას თანამედროვე ტენდენციების გათვალსიწინებით. დაგეგმვას თანამედროვე ტენდენციების გათვალსიწინებით. **მეორე ნაწილი:** ✓ მოამზადოს საინჟინრო განათლების მქონე, თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ✓ შეასწავლოს სტუდენტს ნავთობისა და გაზის მოპოვების (პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების თანამედროვე მეთოდები) და ტანსპორტირებისა (ნ/გ ტრანსპორტირება, ნავთობტერმინალების დაპროეტება) ინოვაციური მეთოდები ✓ შეასწავლოს სტუდენტს ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიებში გამოყენებული აღჭურვილობებისა და ნაგებობების ჰიდრავლიკური და კონსტრუქციული გაანგარიშება ✓ მოამზადოს ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების მაგისტრი ღრმა და სისტემური ცოდნით, კომუნიკაციის უნარებით, რომელიც ადვილად შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტირებას; საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას თანამედროვე ტენდენციების გათვალსიწინებით.

სწავლის შედეგები	✓ ახდენს ნავთობისა და გაზის მოპოვების (ნავთობისა და გაზის მოპოვება და სასაქონლო კონდიციამდე დაყვანა, ნავთობიანი საბადოების ექსპლუატაცია, პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების თანამედროვე მეთოდები), ტრანსპორტირებისა (ნ/გ მაგისტრალური მილსადენები, ნავთობტერმინალების დაპროეტება) და შენახვის თეორიების (ნ/გ შემადგენელი კომპონენტების ქიმიური გარდაქმნები, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიღება, შენახვა და გაშვება...) ინტერპრეტირებას და კრიტიკულ გააზრებას; ✓ აანალიზებს ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიებში გამოყენებული აღჭურვილობებისა და ნაგებობების კონსტრუქციების თეორიულ საკითხებს; ✓ აცნობიერებს ნავთობის და გაზის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ პროცესებს, მიმდინარე ფინანსურ პროცედურებს და სამართლებრივ რეგულაციებს (ნორმებს); ✓ ითვალისწინებს დამკვეთის ინტერესებს, უსაფრთხოების ფაქტორებს, ეკოლოგიურ მნიშვნელობას; პროფესიულ ეთიკას და აცნობიერებს ინჟინრის როლს საზოგადოებაში; ✓ ქმნის ნ/გ ტექნოლოგიურ პროექტს ნ/გ საბადოს დამუშავებაზე, ექსპლუატაციაზე, მილსადენებზე, ტერმინალებზე მათემატიკური მოდელირების, მექანიკის ძირითადი მეთოდების გამოყენებით ტექნიკური, ფუნქციური, ეკოლოგიური, უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით; ✓ აწარმოებს ნავთობისა და გაზის მოპოვების, საბადოების ექსპლუატაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის პროცესს, წინასწარ შედგენილი პროექტის მიხედვით უსაფრთხოების, ეკოლოგიური და ეკონომიური, მოთხოვნების გათვალისწინებით; ✓ დამოუკიდებლად შეიმუშავებს და ადგენს საპროექტო დავალებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით; ✓ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით შეთანხმებულად მუშაობს მულტიდისციპლინურ გუნდში; უწევს მას კოორდინაციას; იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას; ✓ სათანადო რესურსების ავტონომიურად მოძიების, ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით, დამოუკიდებლად წარმართავს კვლევით პროცესს. გეგმავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.